

ტესტის სახელწოდება

აღდოსტერონი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში აღდოსტერონის დონეს განსაზღვრავს.

აღდოსტერონი ჰორმონია, რომელიც თირკმელზედა ჯირკვლების მიერ გამომუშავდება. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნატრიუმისა და კალიუმის ნორმალური ბალანსის შენარჩუნებაში - კერძოდ, ასტიმულირებს ნატრიუმის შეკავებას და კალიუმის გამოყოფას თირკმელების მიერ. აღდოსტერონი ასევე მონაწილეობს სისხლის მოცულობისა და არტერიული წნევის რეგულაციაში.

აღდოსტერონის წარმოქმნა რენინის მეშვეობით რეგულირდება, ამიტომ ხშირად აღდოსტერონისა და რენინის ანალიზები ერთად ინიშნება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

აღდოსტერონის ანალიზი კეთდება სისხლში აღდოსტერონის დონის განსაზღვრად, ორგანიზმში მისი ჭარბი ან არასაკმარისი პროდუქციის გამომწვევი მიზეზების დასადგენად.

აღდოსტერონის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს, როდესაც:

- პაციენტს აღდოსტერონის ჭარბი პროდუქციის ნიშნები აქვს – მაღალი არტერიული წნევა, კალიუმის დაქვეითება, კუნთების სისუსტე; ეს ანალიზი ხშირად *კონის სინდრომის*¹ დიაგნოსტიკისთვის ინიშნება.
- პაციენტს აღდოსტერონის არასაკმარისი პროდუქციის ნიშნები აქვს – დაბალი არტერიული წნევა, სისხლში კალიუმის მაღალი დონე, ხოლო ნატრიუმის დაქვეითებული დონე;

აღდოსტერონის ანალიზი ხშირად რენინის ტესტთან ერთად ინიშნება.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

აღდოსტერონის დონე დღის განმავლობაში ცვალებადობს და ასევე დამოკიდებულია სხეულის პოზიციაზე (დგომა, ჯდომა, წოლა). აღდოსტერონის ნორმალური დონე განსხვავდება ასაკის მიხედვითაც (მაგ. ბავშვებში და მოზრდილებში ნორმალური დონე სხვადასხვაა).

აღდოსტერონის ანალიზის შედეგებზე მრავალმა ფაქტორმა შეიძლება იქონიოს გავლენა.

1 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=11974>

ამ ტესტისთვის მნიშვნელობა აქვს წინა დღეებში მიღებულ საკვებს, საკვებში მარილის შემცველობას, ფიზიკურ და ფსიქოემოციურ სტრესს, ორსულობას (ალდოსტერონის დონე მომატებულია მესამე ტრიმესტრში), სისხლის ალების დროს (დღის განმავლობაში ალდოსტერონის დონე ყველაზე მაღალია დილით) და სხეულის პოზიციასაც კი. ამის გამო სისხლის ალებამდე პაციენტს შეიძლება სთხოვონ გარკვეული ხნით (მაგ. 15-30 წთ-ით) წამოწვეს ან ფეხზე იდგეს.

ზოგიერთმა სამკურნალო საშუალებამ (მაგ. ანტიჰიპერტენზიული საშუალებები, შარდმდენები, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები, ბეტა-ადრენოზლოკატორები, კორტიკოსტეროიდები, ა.შ.) შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად მისგან ინსტრუქციების მიღება აუცილებელია.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

ალდოსტერონის დონის მომატება შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მდგომარეობებით:

- პირველადი ალდოსტერონიზმი (კონის სინდრომი) – ამ დროს ალდოსტერონის დონე მომატებულია, რენინის კი დაქვეითებული; კონის სინდრომის დროს ალდოსტერონის ჭარბი წარმოქმნა, ჩვეულებრივ, თირკმელზედა ჯირკვლებში კეთილთვისებიანი სიმსივნის არსებობით არის გამოწვეული;
- მეორადი ალდოსტერონიზმი – პირველად ალდოსტერონიზმზე უფრო ხშირია. ამ დროს ალდოსტერონის დონის მომატება თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგიას არ უკავშირდება. მისი გამომწვევი მიზეზი ხშირად თირკმლის არტერიების სტენოზია. ალდოსტერონის დონის მეორადი მომატება ასევე შეიძლება შეგვხვდეს გულის უკმარისობის, ღვიძლის ციროზის, თირკმლის დაავადებების, პრეეკლამფსიის, დეჰიდრატაციის დროს; მეორადი ალდოსტერონიზმის შემთხვევაში მომატებულია როგორც ალდოსტერონის, ასევე რენინის დონე.

ალდოსტერონის დონე დაბალია, როდესაც თირკმელზედა ჯირკვალი არასაკმარისი რაოდენობით გამოიმუშავებს ამ ჰორმონს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს *ადისონის დაავადებით*². ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ალდოსტერონის დონე დაბალია, რენინის კი მომატებული.

ალდოსტერონის დონე მომატებულია ორსულობის მესამე ტრიმესტრში.

2 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=12&t=277>